

სერტიფიცირებულ ბუღალტერთა საყურადღებოდ !

კოლეგებო,

გაცნობებთ, რომ ფედერაციის სასწავლო ცენტრი ზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებული პროგრამის შესაბამისად იწყებს 2018 წლის განგრძობით სწავლებას.

შეგახსენებთ, რომ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „განგრძობითი განათლების სტანდარტის“ (მუხლი 6, პუნქტი: 1,2) შესაბამისად, „სერტიფიცირებული ბუღალტერი ვალდებულია ყოველწლიურად აკმაყოფილებდეს განგრძობითი განათლების მიმართ მოთხოვნებს და სერტიფიცირების შემდეგ ადასტურებდეს თავის კვალიფიკაციას. სერტიფიცირებული ბუღალტერი, განგრძობითი განათლების მოთხოვნის შესასრულებლად, ვალდებულია ყოველი 3 (სამი) უწყვეტი კალენდარული წლის მანძილზე გაიაროს განგრძობითი განათლების სულ მცირე 120 საათი“...

აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს სტატუსის შეჩერებას, აქედან გამომდინარე შედეგებით.

განგრძობით სწავლებას ჩაატარებენ შპს ბიდიოს „ბიდიო აკადემიის“ ლექტორები.

სწავლება დაიწყება 15 ოქტომბერს და გასტანს 25 დეკემბრამდე. სწავლება წარიმართება სულ მცირე ორი ნაკადით. საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდება მესამე ნაკადიც.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლება განხორციელდება 30 საათიანი პროგრამით. სწავლება ფასიანია და საფასური შეადგენს 400 ლარს სრულ პროგრამაში (რაც ყველა პროფესიულ ორგანიზაციაში ერთნაირია და განაპირობა დიდი ოთხეულის კომპანიების მაღალკვალიფიციური ლექტორების ჩართვამ სწავლების პროცესში).

სწავლება ჩატარდება მისამართზე: თბილისი, ეგნატე ნინოშვილის 55, მე-6 სართული. დაიწყება 18 : 00 საათზე და გაგრძელდება 3 საათი.

განგრძობითი სწავლების სრულ მასალას თქვენ მიიღებთ სწავლების პროცესში.

სწავლება ჩატარდება შემდეგი გრაფიკით:

№	სასწავლო კურსი	საათები	I ნაკადი 15.10–27.10.2018	II ნაკადი 12.11–24.11.2018	III ნაკადი 3.12–15.12.2018
1	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები	15	15 - 19.10.2018	12 – 16.11.2018	3 -7.12.2018
2	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები	12	22.10. - 25.10.2018	19-22.11.2017	10 - 13.12.2017
3	საგადასახადო და ბიზნეს კანონმდებლობა	3	26.11.2017	23.11.2017	14.12.2017

გაუთვალისწინებელ შემთხვევებისთვის, შესაძლოა გრაფიკი შეიცვალოს, რაც გეცნობებათ დამატებით.

ხელშეწყობის მიზნით, ფედერაციის წევრებისთვის აჭარიდან, სწავლება ჩატარდება ბათუმში, დაიწყება 8 ნოემბრიდან და გასტანს 22 ნოემბრამდე (გრაფიკი გეცნობებათ დამატებით).

სურვილის შემთხვევაში, ფედერაციის წევრებს აჭარიდან შეუძლიათ სწავლება გაიარონ თბილისშიც.

სწავლებაში ჩარვისთვის აუცილებელია დაინტერესებულმა პირმა:

ა) აირჩიოს ნაკადი, გრაფი და პროცესში ჩაერთონ ისე, რომ ყველა სავალდებულო დისციპლინის სწავლებაში მიიღონ მონაწილეობა;

ბ) გაიარონ რეგისტრაცია - შეავსონ და გამოაგზავნონ განაცხადი ფედერაციის ელ. მისამართზე (gfaafm@gmail.com) თანდართული ნიმუშის მიხედვით;

გ) გადაიხადონ **სწავლის საფასური (400 ლარი)** - თანხა ჩარიცხონ ფედერაციის სასწავლო ცენტრის ანგარიშზე: შპს „აუდიტი და ფინანსური მენეჯერი“ ს/კ 404920519, საბანკო რეკვიზიტები: ა/ა **GE31BG0000000320477000**; სს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: **BAGAGE22.**);

სწავლებაზე არ დაიშვებიან პირები, რომლებსაც არ აქვთ გადახდილი ფედერაციაში საწევრო გადასახადი, ან გააჩნიათ დავალიანება (საწევრო გადასახადი გადახდილი უნდა იყოს ფედერაციის ანგარიშზე: (ა/ა ნომერი **GE15BG0000000355038000** სს „საქართველოს ბანკი“ კოდი **BAGAGE22.**).

ფედერაციის ადმინისტრაცია

ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1. სახელი _____

2. გვარი _____

3. პირადი ნომერი (თერთმეტ ციფრიანი ნომერი)

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

4. საკონტაქტო ტელეფონი _____

5. ელ ფოსტა _____

გთხოვთ, ჩამართოთ განგრძობითი სწავლებაში შემდეგი გრაფიკით: -----

(მიუთითეთ ნაკადი, საგანი, თარიღი)

ხელმოწერა _____

თარიღი _____